ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N80
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 22 .03.2019 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "პარკინგსერვისი", მისი დირექტორის, ზვიად მანდარია სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც „მხარეები", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტისა და " ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N69 დადგენილების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1 საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული 1 ერთეული ავტომანქანისათვის ერთ წლიანი პარკირების უფლების სახელმწიფო შესყიდვა (**CPV 63712400**).
3.2. პარკირების უფლების შესყიდვა ხორციელდება ავტომობილისთვის- KIA-OPTIMA, სახელმწიფო ნომრით VWW-422.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ერთი ავტომანქანისთვის პარკირების ერთწლიანი უფლების ღირებულება განისაზღვრება 40 ლარით, დღგ-ს ჩათვლით.
4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **40** (ორმოცი) **ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**
4.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. მიწოდების ვადა, დრო და ადგილი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია, გააქტიუროს შემსყიდველისთვის პარკირების უფლება 1 წლის ვადით.
5.2. პარკირების უფლება ვრცელდება ქ. ქუთაისზე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ -ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - დავით ახალაძე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. ავტომანქანების პარკირების უფლების გააქტიურების შემდეგ მხარეთა შორის დგება მიღება-ჩაბარების აქტი, სამ ეგზემპლარად.
7.2. მიღება-ჩაბარების აქტის ორი ეგზემპარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს.
7.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული პირი.

8. გარანტია

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მომსახურებას განახორციელებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

9. ანგარიშსწორების წესი

9.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო;
9.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;
9.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან საფუძველზე 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
9.4 მიმწოდებელი ვალდებულია წარმადგინოს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
9.5. დაფინანსების წყარო: 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;

10. ხელშეკრულებაში ცვლილება

10.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;
10.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;

11.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. მხარეთა ურთიერთობა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
12.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
12.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
12.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი;

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0,5%.
13.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.3. მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების გამო შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
13.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია, დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,5 %-ის ოდენობით.
13.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით.
14.2. ხელშკრულების ვადის ამოწურვა არ ათავისუფლებს მხარეებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან.

15.დამატებითი პირობები

15.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან და ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს
საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო
სასამართლოების დეპარტამენტი
ს/კ 203860642
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

მიმწოდებელი:

შპს "პარკინგსერვისი"
ს/კ. N: 412711230
მის.: ქუთაისი, გუგუნავას ქ. #2
ვითიბი ბანკი ჯორჯია
ანგ.N GE03VT0500000000033407

ზვიად მანდარია
დირექტორი

LEPL Common Courts Department under High Council of Justice

Digitally signed by LEPL Common Courts Department under High Council of Justice
Date: 2019.03.28 13:33:28 +04'00'